პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 მაისი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი ● № 106 (14102)

შევიარაღოთ კადრები მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით!

მეცხრამეტე წლის იანვარში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა 1967 წლის — საიუბილეო წლის შედეგებს და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის 1968 წლის ამოცანებს, საკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა დიდი ყურადღება დაეთმოს კომუნისტების, ყველა მშრომელის და პირველ რიგში ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას და აღნიშნა, რომ ეს საკითხი სპეციალურად უნდა იქნას განხილული.

და აი ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ მიიღო გადაწყვეტილება 1968 წლის ივნისში მოწვეულ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იქნება: „კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინური განათლების მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ახლაც ანიჭებს კადრების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, იმიტომ რომ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის საფუძველთა საფუძველია. პარტიის XXIII ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ჩაწერილია: „ყრილობას პარტიული ორგანიზაციების საარსებო ამოცანად მიაჩნია პარტიის წევრთა, განსაკუთრებით ახალგაზრდა კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, იდეურად გამოწრთობა. საჭიროა მაღალ მოთხოვნებს ვუყენებდეთ ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას. პარტიული განათლების მთელი სისტემა უნდა ავიყვანოთ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის ამოცანათა დონეზე“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური განათლების საკითხის განხილვას ამჟამად ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სკკპ თვითეულ წევრსა და წევრობის კანდიდატს ხომ სწორედ მარქსისტულ-ლენინური სწავლება გამოუმუშავებს მაღალ კომუნისტურ რწმენას, პრინციპულობას, პარტიულ შებრძოლურობას.

სკკპ წევრთა და ყველა მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, პარტიის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის გაძლიერება, ამასთან დაკავშირებით, რომ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გაწყვეტება, ამჟამად, როგორც ხაზგასმით აღნიშნა ამას წინათ გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა, ყველა პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს.

„...იდეოლოგიური ბრძოლა ჩვენს დროში კლასობრივი ბრძოლის უმწვავესი ფრონტია,—თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის XIX კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში. — მასში არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გულგრილობა და პასიურობა, ნეიტრალიზმი იმ მიზნების მიმართ, რომლებსაც მტერი ისახავს. ჩვენი პარტია ყოველთვის იძლეოდა გაფრთხილებას, რომ იდეოლოგიის დარგში არ შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა, ისევე როგორც არ შეიძლება იყოს კლასობრივი ზავი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

ცდილობენ რა შეასუსტონ სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, ისწრაფვიან რა ცილი დასწამონ ცხოვრების საბჭოთა წესს, შეარყიონ საბჭოთა ადამიანების ცალკეული ჯგუფების მსოფლმხედველობა, დაარლუნგონ მათი კლასობრივი შეგნება, ბურჟუაზიული იდეოლოგები და პროპაგანდისტები მიმართავენ იდეოლოგიური ბრძოლის სულ უფრო ნაცად ხერხებსა და მეთოდებს, არაფერს არ ერიდებიან თავიანთი მიზნების მიღწევისათვის. ამასთან ისინი იმედს ამყარებენ უმთავრესად ნაციონალისტურ და რევიზიონისტულ ელემენტებზე, ცდილობენ გამოსახონ მორალურად ზერეული, სუსტი, პოლიტიკურად მოუმწიფებელი ადამიანები, არ თაკილობენ გამოიყენონ თავიანთი მიზნებისათვის ყოველგვარი გარეწრები და გადაგვარებულები. იმპერიალისტური პროპაგანდისა და მისი დამქაშების ძირგამოთხრილ საქმიანობას უნდა დავუპირისპიროთ შეურიგებელი ბრძოლა მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რა ფორმებითაც უნდა გამოდიოდეს იგი.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება: „საკითხი მხოლოდ ასე დგას: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური იდეოლოგია. შუათანა რამ აქ არ არის... ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი დამცირება, მისგან ყოველგვარი ჩამოშორება ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“.

და სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ვაწარმოებდეთ შეტევითს ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, იდეური აღზრდის ყველა საშუალება წარვმართოთ იქითკენ, რომ თვითეულ კომუნისტსა და საბჭოთა ადამიანს განვუმტკიცოთ კომუნისტური რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობა, ჩავუნერგოთ იდეური სიმტკიცე და იმის უნარი, რომ წინააღუდგეს ბურჟუაზიული გავლენის ყველა ფორმას.

ამიტომ არის, რომ დღეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ღრმად განმარტება, საზოგადოების ყველა წევრისათვის მეცნიერული მსოფლმხედველობის, კომუნისტური იდეურობის ჩანერგვა, მათი აღზრდა ახალი მორალის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად მშრომელთა მობილიზაციის სულისკვეთებით მთელი ჩვენი პარტიული პროპაგანდის პირველხარისხოვან ამოცანას შეადგენს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი გაიმართება პოლიტიკური განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრების პერიოდში. ამიგად, იგი შეაჯამებს პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციის დარგში მუშაობის შედეგებს, გამოავლენს ამ ხაქმეში არსებულ ნაკლოვანებებს, დასახავს მომავლის გეგმებს.

პლენუმისათვის რომ ემზადებიან, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთონ გაწეულ მუშაობას, განაზოგადონ შეძენილი გამოცდილება, დასკვნითს მეცადინეობაზე შეამოწმონ, თუ რამდენად მტკიცედ შეითვისეს შესწავლილი მასალა პოლიტწრეებისა და პოლიტსკოლების მსმენელებმა, სემინარებისა და თეორიული კონფერენციების მონაწილეებმა, დაებმარონ მათ იმაში, რომ შეიდეგში გააღრმაონ და სისტემაში მოიყვანონ მიღებული ცოდნა.

მაგრამ, როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიმდინარე წლის იანვარში, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება პოლიტიკური განათლების ორგანიზაციაზე, ჩვეულებრივად მოპყავთ ბევრი ციფრი, რომლებიც უნდა მოწმობდნენ იმას, თუ რა ბევრი გვაქვს პარტიული აქტივის საქალაქო და რაიონული სკოლები, რამდენი შეიქმნა თეორიული, საპრობლემო და მეთოდოლოგიური სემინარები, რამდენი ლექტორი და კონსულტანტი მუშაობს იქ და რა ფაროოდ არიან „ჩაბმულნი“ შრომელები პოლიტიკური განათლების ქსელში.

მაგრამ ამ მრავალ ციფრს უკან საჭიროა ვხედავდეთ იმ ნაკლოვანებებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს ამ საქმეში. თვალი არ უნდა ავარიდოთ იმას, რომ პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციაში, კერძოდ, პარტიის ისტორიის შესწავლაში, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს საკმაოდ ბევრი ფორმალიზმი, მედავითნეობა, რომ პოლიტწრეებში და სემინარებზე მეცადინეობა ეშვიათად როდი მიმდინარეობს მშრალად, არასაინტერესოდ, ზოგჯერ კი საასვენო ლიტერატურის ხმამაღლა კითხვით შემოიფარგლება. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთი კაზიონურობა, საქმისადმი ასეთი ფორმალური მიდგომა მსმენელებს უკარგავს ინტერესს პოლიტიკური სწავლებისადმი. ჩვენი ამოცანა კი ის არის, რომ განუწყვეტლივ ვაძლიერებდეთ ამ ინტერესს, ვნერგავდეთ გემოვნებას პარტიის ისტორიის შესწავლისადმი, განვუმარტავდეთ ჩვენს ინტელიგენციას, ჩვენს ახალგაზრდობას, ყველა მშრომელთ, რომ არის ცოდნის ერთი დარგი, რომელიც სავალდებულოა თვითეული სპეციალისტისათვის, თვითეული ადამიანისათვის, — მარქსიზმ-ლენინიზმი.

ამასთან ერთად ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს მუდამ უნდა ჰქონდეთ მხედველობაში, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მემკვიდრეობის შესწავლას უნდა ვეწეოდეთ თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

საზოგადოებრივი განვითარების კანონთა ცოდნას, თანამედროვე საზოგადოებრივი მოვლენების მარქსისტულ-ლენინური ანალიზის მეთოდებს რომ ეუფლება, თვითეულ კომუნისტს უნარი უნდა ჰქონდეს გამოიყენოს ეს ცოდნა პრაქტიკაში, თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, უკავშირებდეს მას კონკრეტული ეკონომიური, სოციალური და კულტურული ამოცანების გადაჭრას, ჩვენი დიადი საშშოლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანებს.

ახლანდელი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში მიმდინარეობდა კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის მზადების ნიშნით, რაც ამ დღეებში ესოდენ საზეიმოდ აღნიშნა მთელმა მოწინავე კაცობრიობამ, და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სულ უფრო ფართოდ გაჩაღებული მზადების ნიშნით. ამ თარიღებმა გამოიწვია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდის, პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის ახალი, მძლავრი აღმავლობა.

საჭიროა პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური საქმიანობა, როგორც ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა, კიდევ უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ყველა მშრომელის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების ამოცანებს, თვითეული საბჭოთა ადამიანის პრაქტიკულ წვლილს საწარმოო დავალებათა შესრულებაში, ხუთწლედის წარმატებით დამთავრებაში.

იდეური რწმენა საბჭოთა ადამიანის, კომუნისტის უპირველეს ძვირფასი თვისებაა. იდეური რწმენა ადაფრთოვანებდა საბჭოთა ხალხს ისტორიული გზის ყველ ეტაპზე — ოქტომბრის დღეებში, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და პირველი ხუთწლედების პერიოდში, ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ დიდ სამამული ომში, ომისშემდგომ წლებში, როცა უმოკლეს ვადებში ფერფლიდან და ნანგრევებიდან აღდგენილ იქნა ომით დანგრეული მეურნეობა.

იდეური რწმენა ადაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახლაც, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის წლებში, მატებს მათ ახალ ძალებს მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

და ამ ძალას, იდეური რწმენის ძალას, მეშრომელნი იღებენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დაუშრეტელი წყაროდან.

ახალი წინდები

თბილისის წინდის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ლ. ელისაშვილი) ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებს გაუგზავნა ქალების ასაკის ბავშვებისათვის ახლად თვისებული ელასტიკური „ალგოტკები“. ახალი პროდუქცია გამოირჩევა ფერების სიმრავლითა და მოხატულობით. ახლა საწარმო ყოველდღიურად 1.000 ცალ ასეთ ნაწარს გამოუშვებს.

აღსანიშნავია, რომ წელს ფაბრიკის კოლექტივმა თითქმის მთლიანად გადაახალისა გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტი. აქ ახლახან წარმატებით აითვისეს ბავშვის ღია ფერის ნახევარწინდის ქსოვა. მომხმარებელმა უკვე მიიღო 238 ათასი წყვილი ასეთი საქონელი, რაც 52 ათასით მეტია გათვალისწინებულზე.

ახალი პროდუქციის რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე სკოლის ასაკის ბავშვისათვის ფაყარდული მაღალყელიანი წინდა. მალე შეუდგებიან მაღალყელიანი წმინდა ქსოვის ელასტიკური წინდების წარმოებასაც.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მეოთხე ყრილობა

დიდი ფორუმის უვერტიურა

დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მუშაობას დაიწყებს საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის IV ყრილობა.

შემოქმედებითი მუშაკების ამგვარი შეკრებები ითვალისწინებს მოხსენებებს, კამათს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, მაგრამ ამჯერად მუსიკის სპეციფიკა მოითხოვს საანგარიშო პერიოდში შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებების საკონცერტო შესრულებას, რის შემდეგაც კომპოზიტორები, მუსიკათმცოდნენი გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს.

ყრილობის მუშაობის პირველ დღეს შესრულებულ იქნება შემდეგი ნაწარმოებები: კომპოზიტორ ს. ნასიძის ორატორია „ჩემო სამშობლოვ“, რ. ლაღიძის „ჭილის ბარძია“, ა. ბალანჩივაძის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო კაპელა და სოლისტი ჯ. ბალანჩივაძე.

ყრილობის პროგრამით გათვალისწინებული კონცერტები გაიმართება რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზებში, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

საქართველოს მუსიკის მოყვარულთა ამ დღეებში საშუალება ექნებათ გაეცნონ ჩვენი კომპოზიტორების იმ ნაწარმოებებს, რომლებიც შექმნილია III ყრილობის შემდეგ.

ეანრობრივი სხვადასხვაობით წლევანდელი ყრილობა ყველაზე მდიდარია. ყრილობაზე წარმოდგენილი იქნება ინსტრუმენტული კონცერტები, ორატორიები, ოპერები, ოპერეტები, სიმფონიები, ვოკალური ნაწარმოებები, ანსამბლები.

საყრილობო კონცერტებზე შესრულებულ იქნება თითქმის ყველა თაობის კომპოზიტორთა ნაწარმოებები. თუ გადავწყვეტთ პროგრამას, შეგვიძლია აქ ამოვიკითხოთ ა. მაჭავარიანის, შ. მშველიძის, ა. ბალანჩივაძის, ო. თაქთაქიშვილის, რ. ლაღიძის, ს. ნასიძის, დ. თორაძის, ბ. ცაბაძის, ლ. იაშვილის, რ. თოხაძის, მ. დავითაშვილის, ნ. გუდიაშვილის, რ. ქარუხნიშვილის და ბევრი სხვა კომპოზიტორის გვარები.

კონცერტები რამდენიმე დღეს გასტანს, ხოლო 14 მაისს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კომპოზიტორი ალმასი მაჭავარიანი, რომლის შემდეგ გაიმართება კამათი.

ზესტაფონიდან — ინდოეთში, კუბაში...

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გამართულად და რენტაბელურად მუშაობს „საკაბელის“ ზესტაფონის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება და სახალხო მეურნეობას გაუგზავნა 1.700 კილომეტრი ზეგენმთი სხვადასხვა მარკის სადენი.

ქარხნის კოლექტივმა საპირველმაისოდ ქვეყანას მისცა 75 ათასი მანეთი ზეგენმთი მოგება, მასალების ყიარისათვის ხარჯვით დაზოგა 45 ათასი მანეთი.

ზესტაფონელი მეკაბელეები წარმატებით ასრულებენ შორეული ქვეყნების დაკვეთებსაც. აქედან ინდოეთში, კუბაში, სერიასა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გაიგზავნა დიდძალი მაღალხარისხოვანი კაბელი.

1968 წლის 16-17 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ., № 8) მოწვეულია საქართველოს სსრ მასწავლებელთა III ყრილობა.

ყრილობა გაიხსნება 16 მაისს დილის 10 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს: 15 მაისს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში (რუსთაველის პრ. № 8, VI სართული, ოთახი № 1) 10-დან 17 საათამდე, **ხოლო 16 მაისს** — უმაღლესი საბჭოს შენობაში 9-დან 10 საათამდე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

საბჭოთა პრესის დღესასწაული

გაზეთი, ჟურნალი, წიგნი დამკვიდრდა ყოველ ოჯახში, ყოველ სახლში როგორც კეთილი მეგობარი და მრჩეველი, ისინი აქტიურად მონაწილეობენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში, კომუნიზმის მშენებლობაში. საბჭოთა პრესის დღესასწაული ჟურნალისტებთან, გამომცემლებთან და პოლიგრაფისტებთან ერთად აღნიშნა მთელმა საბჭოთა ხალხმა.

საზეიმო კრებაზე, რომელიც საბჭოთა პრესის დღეს მიეძღვნა, 6 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციათა, გამომცემლობათა, რადიოსა და ტელევიზიის, სანფორმაციო საგენტოთა თანამშრომლები, პოლიგრაფიული მრეწველობის მუშები და მოსამსახურენი, მუშკორების მოძრაობის აქტივისტები.

კრება გახსნა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. ვ. შაპოშნიკოვამ.

კრების საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა.

მოხსენება პრესის დღის შესახებ გააკეთა გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მთავარმა რედაქტორმა ვ. ვ. მოსკოვსკიმ.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან (საკ. ინფ.).

საზეიმო კრება მოსკოვში

ვ. ჰ. მჟავანაძემ დაათვალიერა თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები

ასობით პროფესიის სპეციალისტებს ამზადებენ საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები. ამ სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს შეხვდებით ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში. ისინი დგანან ჩარხებთან ქარხნებსა და ფაბრიკებში, აგებენ საწარმოთა, კულტურულ-საგანმანათლებლო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა კორპუსებს, მუშაობენ ფერმწერებად, მოქანდაკეებად, მოჩუქურთმეებად, ოქრომჭედლებად, კერამიკოსებად და სხვ.

არსებობის 27 წლის მანძილზე საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მოამზადეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 170 ათასზე მეტი სპეციალისტი.

ყოველწლიურად პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა კურსდამთავრებული ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი უერთდება რესპუბლიკის მუშათა კლასს. წლითიწლობით იზრდება ამ სასწავლებლებში შემსვლელთა რიცხვიც. ამჟამად საქართველოს 54 ასეთ სასწავლებელში სწავლობს 25 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მუშათა კლასის მომავალი თაობისათვის აქ შექმნილია სწავლის, სამუშაო სპეციალობისა და კვალიფიკაციის დაუფლების, დასვენების, ორგანიზმის გაკაჟების ყველა პირობა.

6 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ჰ. მჟავანაძემ დაათვალიერა თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები — მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი № 6 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და № 38 ტექნიკური სასწავლებელი.

ამხ. ვ. ჰ. მჟავანაძემ გამოიკითხა, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, როგორ არის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმე, უზრუნველყოფილი არიან თუ არა მოსწავლეები სწავლისა და დასვენებისათვის საჭირო პირობებით, საბინაო პირობებით.

ამხ. ვ. ჰ. მჟავანაძე ესაუბრა მოსწავლეებს, მასწავლებლებს, საწარმოო სწავლების ოსტატებს, გაეცნო სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოებისა და ლაბორატორიების მუშაობას, დაათვალიერა პროდუქცია, რომელსაც მომავალი მუშები უშვებენ სახალხო მეურნეობისათვის, დაათვალიერა აგრეთვე მოსწავლეთა სასადილოები.

ამხ. ვ. ჰ. მჟავანაძემ დადებითად შეაფასა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მუშაობა და მათი პროდუქცია. პედაგოგთა კოლექტივებთან საუბრის დროს მან მთავარი ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას.

— საკმარისი არ არის მარტოოდენ მაღალი კვალიფიკაციის მიღება, — აღნიშნა ამხ. მჟავანაძემ, — კომუნიზმის მშენებელი ადამიანი უნდა იყოს დიდად კულტურული, ყოველმხრივ განათლებული, ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დათვალიერების დროს ამხ. ვ. ჰ. მჟავანაძეს ახლდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. ი. შრეშმერ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. თ. ჩიხლაძე. (საქდესი).

ხურათზე: თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის მოწინავე ახალგაზრდობა: (მარცხნიდან) ზეინკლები ვ. გაგლოევი, ვ. გოლოშვილი, ხარატი გ. გოგილიძე, ზეინკლები მ. დოლიძე, ა. აბაევი და ბ. ჩოკორაია მეცადინეობის შემდეგ.

ფოტო გ. გოგოხიანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები — სოფლის მეურნეობაში

ბაიზართა თათბირი სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა გამოყენების საკითხზე. თათბირი მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარემ ბ. მიქელაძემ.

ანორციელებენ რა სკკპ 23-ე ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს მეცნიერებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. მათი მეცნიერული ძიება ემსახურება სახალხო მეურნეობისა და კულტურის პრობლემას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ინტერესებს.

დიდი მუშაობა წარმოებს სოფლის მეურნეობის კომპლექსური ქიმიზაციისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის უახლეს საშუალებათა გამოყენებისათვის, ახალი უმჯობესადლეანი ჯიშებისა და ხახვიბების მრავალწლიან და ერთწლიან კულტურულ მცენარეთა, მაღალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვის გამოყვანისათვის, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნისათვის, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის.

მეცნიერული აზრის განვითარებას რესპუბლიკაში ახასიათებს არა მარტო კვლევის განზოგადა, არამედ სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელიც. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას ემსახურება სამი უმაღლესი სასწავლებელი და 17 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებშიც 1.900-მდე მეცნიერი მუშაობს, მათ შორის 76 მეცნიერებათა დოქტორია და 750 — მეცნიერებათა კანდიდატი.

ჩვენი მეცნიერების ნიჭითა და მეცადინეობით შექმნილია ჩაის ბოვლა-გაშენების მწყობრი აგროტექნიკა, გამოყვანილია ჩაის შესანიშნავი სამამულო ჯიშები, რომლებიც 25-30 პროცენტით ჭარბობენ სხვა ჯიშების მოსავლიანობას, შემუშავებულია ვაზის გასხვლა-ფორმირების პროგრესული მეთოდები, რაც მკვეთრად ადიდებს ვენახების მოსავლიანობას. მიღებულია ვაშლის, ატმის, მსხლის, ქლიავის, ყურძნის, ბალჩეულისა და ბოტანეულის შესანიშნავი ჯიშები. მეცნიერებმა შეიმუშავეს თესლბრუნვის სქემა რესპუბლიკის ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებთან შეფარდებით. დაინერგა შუალედური კულტურები, რომლებიც პირუტყვს უზრუნველყოფენ ნოყიერი მწვანე საკვებით მთელი წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანი კვლევა გასწიეს მეცნიერმა ენტომოლოგებმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან საბრძოლველად. ახლა მათი მეცადინეობა იქით არის მიმართული, რომ იბრძოლონ ნაძვის დიდი ლაფნიჭამიას წინააღმდეგ, რომელიც ზიანს აყენებს ჩვენს ტყეებს. ქართველ მეცნიერთა და კონსტრუქტორთა უდიდესი მიღწევაა მეჩაიეობის მსოფლიო პრაქტიკაში პირველი ჩაის ფოთლის მექანიზებულად საკრეფი მანქანის „საქართველოს“ შექმნა, სრულყოფენ რა მანქანა „საქართველოს“, მეცნიერები და კონსტრუქტორები დიდ მუშაობას ეწევიან, რათა გააუმჯობესონ მეორე ჩაის საკრეფი მანქანა „ჩა-900“. შექმნილია მთელი რიგი მანქანები ჩაის, ყურძნის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანისათვის.

მეცნიერები დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მინდვრების, პლანტაციების, ბაღების, ვენახების მოსავლიანობის გადიდებაში, პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდაში.

საქართველოს მეცნიერები სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა მასუხად კიდევ უფრო ფართოდ გაიჩაღებენ მეცნიერულ კვლევას, ფართოდ დანერგავენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს სახალხო მეურნეობაში.

ამასთანავე მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ფაჭაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ვ. საბაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ბუხნიკაშვილმა, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. მეტრეველმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანმა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ფირცხალავამ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ი. სარიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. კიკნაძემ, ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიროს უფროსმა ბ. სიმონინამ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ფალავანდიშვილმა, ელექტროტექნიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ელიავაშვილმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. მელქაძემ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლ ტ ე ქ ნ ი კ ის“ თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ხოხლოვმა, საქართველოს სასწავლო-კვლევითი ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ვ. მამათელაშვილმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ დღეს დიდ მოთხოვნებს უყენებენ მეცნიერებს სხვადასხვა დარგს, ინსტიტუტების საქმიანობას.

ცნობილია, რომ ყოველი აღმოჩენა, გაუმჯობესება ხალხის ნაშედეული კეთილისა ხდება ამ შემთხვევაში, თუ მას პრაქტიკულად იყენებენ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ბევრი შემთხვევა, როცა ძვირფას იდეებს, წამოწყებებს, რეკომენდაციებს დიდხანს ვერ გაუკვლევიათ გზა წარმოებისაკენ. ამასთან დაკავშირებით ფრიად საჭიროა შეგვქმნათ ისეთი პირობები, როცა დრო, რომელიც სიახლის შემოგებებისა და პრაქტიკული განხორციელებისათვის იხარჯება მაქსიმალურად შევამციროთ.

სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა გულდასმით უნდა ადევნონ თვალყური იმას, რომ მათ გამოკვლევების შედეგები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სიახლენი არქივებს კი არ გადასცენ, არამედ დანერგონ წარმოებაში.

მოიყვანეს მაგალითები, როცა მნიშვნელოვანი მეცნიერული რეკომენდაციები ძალზე ნელა ხორციელდება პრაქტიკულად. მაგალითად, ვაზის ქლოროზთან ბრძოლა ჯერ კიდევ ხორციელდება ვენახების შეტად მცირე ფართობზე. მეგალითობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშავა წინადადება პოლიეთილენის პარკებში ხილის ხანგრძლივად შენახვის შესახებ, მაგრამ დამამუშავებელი ორგანიზაციები არ იყენებენ მას. ასეთი მაგალითი ცოტა როდია.

სამინისტროებისა და უწყებების მუშაკები ვალდებული არიან თავიანთ საქმიანობაში გამოიყენონ მეცნიერების წარმატებანი, უფრო სწრაფად მოახდინონ იმის რეალიზაცია, რასაც ხარგებლობა მოაქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

აღინიშნა, რომ საჭიროა მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და დარგობრივ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საპრობლემო ლაბორატორიების, საკონსტრუქტორო ბიროების, სამრეწველო საწარმოების კოლექტივების უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და მუდმივი შემოქმედებითი ურთიერთობა. იმას, თუ რა სარგებლობა მოაქვს მეცნიერული მუშაობის კოორდინაციას პრაქტიკასთან, ადასტურებს დადებითი მაგალითები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის საქმიანობაში, რომელმაც შექმნა სოფლის მეურნეობის წარმოების ოპერატიული მართვისა და დაგეგმვის სისტემა, გეოფიზიკის ინსტიტუტისა, რომელიც წარმატებით ებრძვის დასეტყვას, ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიროს საქმიანობაში, რომელმაც არსებითი დახმარება გაუწია აგროქიმიურ ლაბორატორიებს და სხვ.

მეცნიერთა მეცადინეობის გაერთიანება უეჭველად ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მეცნიერების შემდგომ განვითარებას, ახალი ფუნდამენტალური თემების დამუშავებას, ხელშემწყობი პირობების შექმნას რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

თათბირზე მოიყვანეს მაგალითები, როცა ცალკეული მეცნიერები, იმის ნაცვლად, რომ უურადღება მიაქციონ პრაქტიკით ნაკარნახევ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი თემების გადაწყვეტას, მუშაობენ პრობლემებზე, რომელთა დამუშავებით სრულიადაც არ არის დაინტერესებული ან ნაკლებადაა დაინტერესებული სოფლის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობაში ჯერ არ იყენებენ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, გამოსათვლელ მანქანებს, ტექნიკის გამოყენების ზუსტ გაანგარიშებებსა და სხვ. ამასთან არის ცალკეული შემთხვევები, როცა მეცნიერები წლების მანძილზე მუშაობენ არასაკმარისად დასაბუთებულ თემებზე. ბუნებრივია, მათ წინადადებას პრაქტიკულად ვერ იყენებენ. ნორმალურად ვერ ჩავთვლით იმასაც, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავის სახელოსნოებში აი უკვე სამი წელია ამზადებს ცხვრების საბანაო აბაზანებს, მაშინ, როდესაც სამრეწველო წარმოების პირობებში ამის გაკეთება ორსამ თვეში შეიძლებოდა. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა იმ მეცნიერული კვლევის გაძლიერება, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა. ამ საკითხებს განეკუთვნება მალეხოს — ციტრუსების დაავადების, ვაზის ქლოროზის, ფიჭვის ლაფნიჭამიის წინააღმდეგ ბრძოლა. აღინიშნა, რომ უნდა დაჩქარდეს ხელსაწყოების შექმნა ჩაის ფოთლის ხარისხიანობის, რძის ცხიმიანობის პროცენტის, ყურძნის შაქრიანობის პროცენტის გარკვეულისათვის, ტექნიკის შექმნა მთის მიწათმოქმედებისათვის, პრეპარატების შექმნა ბრუცელოზის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და სხვ.

თათბირმა საჭიროდ ცნო იმ ინსტიტუტების თემატურ გეგმაში, რომლებიც არ შედიან დარგობრივ სისტემებში, შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხები, გააუმჯობესონ ყველა დარგის მეცნიერთა მუშაობის კოორდინაცია.

მეცნიერთა თათბირი, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, დაეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აამაღლონ მინდვრების, პლანტაციების, ვენახების მოსავლიანობა, გააუმჯობესონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ბანუშვაძემ. (საქდისი).

მზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

საინტერესო გამოფენა

გალი. (საკ. კორ.). გალის რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები ემზადებიან დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის.

რაიონული ბიბლიოთეკის მუშაკებმა უკვე მოამზადეს თემატური გამოფენა, რომელიც ამ თარიღისადმია მიძღვნილი.

ნათელ სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას დგას დაფა, რომელზეც მოთავსებულია ილუსტრაციები ვ. ი. ლენინის რევოლუციური მუშაობის ეპიზოდებიდან. გამოფენის ერთ განყოფილებას ეფოდება „ლენინი და რევოლუცია“, მეორეს — „ლენინი — ბელადი და მასწავლებელი“. აქ გამოფენილია ვ. ი. ლენინის მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები და სხვა მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ რევოლუციის ბელადის ტიტანურ მოღვაწეობაზე.

• • •

სურათზე: გალის რაიონულ ბიბლიოთეკაში. ფოტო ს. კოროტკოვისა.

პოლიტიკური განათლების პრაქტიკიდან

როცა ლენინს ვკითხულობთ

ვ ენინალური ბელადის ნაშრომების კითხვა ყველაზე მეტად გვაგრძნობინებს ცხოვრების მაჯისცემას, გვეხმარება ღრმად გავერკვეთ მოვლენებში, საზოგადოების განვითარების კანონებში, უკეთ გადავწყვიტოთ კომუნისტური მშენებლობის სადღეისო პრაქტიკული ამოცანები.

ვკითხულობ ლენინის ნაშრომებს და ვგრძნობ, თუ როგორ უკავშირდება თვითეული დებულება, დიდი ბელადის ყოველი აზრი და სიტყვა ჩვენს თანამედროვე სინამდვილეს. ყველაფერში, რასაც ჩვენ ვგრძნობთ და ვამჩნევთ, დიდსა და მცირეში ბელადი ახარბი გვიდგას, გვერჩევს, გვეთათბირება, მიგვითითებს, გვეხმარება სინდისიერად გადალახვაში, ახლის შენებაში, ჩვენს ძლევამოსილ წინსვლაში.

და რაც უფრო მეტს კითხულობ ლენინის ნაშრომებს, მით უფრო გასაგები ხდება ჩვენი პარტიის პოლიტიკა, კიდევ უფრო მტკიცედ რწმუნდები, რომ გზა, რომლითაც პარტია მიეშველის ხალხს, ერთადერთი სწორი ლენინური გზაა.

მე კომუნისტი ვარ და კარგად მესმის პარტიის წევრის საწესდებო ვალდებულება — ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმაღლებდეს იდეურ დონეს, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებას და აღზრდას. ეს ნიშნავს, რომ ცოდნა არასაგზით არ უნდა ვიქცეოთ თვითმიზნად. ამა რა აზრი აქვს თეორიულ დებულებათა გაზეპირებას, თუ კი უნარი არ შეგწევს გაიაზრო წაკითხული, პრაქტიკაში, ცხოვრებაში გამოიყენო და მოიმარჯვო ეს დებულებები.

ამას წინათ ჩვენთან, ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში, პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ლენინური გაკვეთილი მოეწყო.

„მოვეთათბეროთ ლენინს“ — ასეთი იყო გაკვეთილის დეკანი, ხოლო სიუჟეტი გაიმართა თემაზე: **„ვ. ი. ლენინის ნაშრომი „დიდი თაოსნობა“ და „კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა ჩვენს ქარხანაში“.**

როგორც პოლიტიკური თვითგანათლებაზე მომუშავეს და ქარხანაში პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს, ლენინურ გაკვეთილზე მეც შემომთავაზეს გამოსვლა.

წინასწარ ერთხელ კიდევ გულდასმით წავიკითხე ლენინის აღნიშნული ნაშრომი, და, ვფიქრობ, ჩემი გამოსვლა ინტერესს მოკლებული არ აღმოჩნდა.

როცა ლენინის ნაშრომი კიდევ წავიკითხე, მაშინ უფრო ნათელი გახდა ბელადის სიტყვები იმის შესახებ, რომ მუშათა თაოსნობით მოწყობილ პირველ კომუნისტურ შაბათობებს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს იყო არაჩვეულებრივად გაბედული დასაწყისი, რომ ამით წყდებოდა კიდევ უფრო ძნელი, კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანა, ვიდრე ბურჟუაზიის დამხობა, ბრძოლის ველზე გამარჯვება იყო.

„როდესაც ეს გამარჯვება განმტკიცდება, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — **მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი დისციპლინა, სოციალისტური დისციპლინა, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეუძლებელი გახდება დაბრუნება უკან, კაპიტალიზმისაკენ, და კომუნიზმი ნამდვილად უძლეველი გახდება“.**

იმ დროს, როცა აღნიშნული სტრიქონები დაიწერა, ჩვენი ქვეყანა სამოქალაქო ომის ცეცხლში იყო გახვეული, ადამიანებს მძიმე განსაცდელი ადგათ. მაგრამ ხალხს სჯეროდა თავისი პარტიისა და სწამდა ნათელი მომავალი. პირველი კომუნისტური შაბათობის მონაწილეებმა ზედმეტად, უსასყიდლოდ იმუშავეს 5 საათი. და იმის მიუხედავად, რომ მუშებს უჭირდათ, ჭერი არ ჰყოფნიდათ, ამასთან მათი მუშაობა სუსტად იყო მომზადებული და ორგანიზებული, როგორც დიდი ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, „შრომის ნაყოფიერება მაინც ჩვეულებრივზე ორჯერ-სამჯერ უფრო მაღალი იყო“.

ასე, როცა შეგნებულად და ხალისით ეკიდები საზოგადოებისათვის, ახალი ცხოვრებისათვის სასარგებლო შრომას.

და ახლა, როცა ცხოვრების, შრომისა და სწავლის ასე საოცითესო პირობები გვაქვს, განა სირცხვილი არ არის ჩამორჩენილი იყო, შრომისა და საწარმოო დისციპლინას არღვევდე? — ასე მივმართე მაშინ ლენინური გაკვეთილის მონაწილეებს.

ლენინს პირველი კომუნისტური შაბათობები ახლის, „კომუნიზმის ყლორტებად მიაჩნდა და იქვე დასძენდა: **„სანქმე ისაა, რომ მზარი დაუჭიროთ ახლის ყველა და ყოველგვარ ყლორტს, რომელთაგან ცხოვრება შეარჩევს ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიან ყლორტებს“.**

რაოდენ ბრძნული და წინასწარმეტყველურია ეს სიტყვები!

„ახალი ყლორტები“ ეს ახლა, ჩვენს დროში, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაა.

1961 წლის გაზაფხულზე, საფაბრიკატო საამქროს ქალების გამფორმებელთა ჩვენს ბრიგადას მთელ ქარხანაში პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის სამპატიო სიგელი.

ოცდათხუთმეტ ქალისაგან შემდგარმა ჩვენმა ბრიგადამ მართლაც კომუნისტურად მოაწყო შრომა, სწავლა და ცხოვრება.

ჩვენი დევიზი გახდა ლენინის ცნობილი დებულება: **„კომუნიზმი არის შრომის უმაღლესი, კაპიტალისტურთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობითი მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშებისა“.**

ვიყენებთ სწორედ ამ მოწინავე ტექნიკას. ჩვენი ბრიგადა ცვლაში ვიგმით გათვალისწინებული 40 ათასი ქილის ნაცვლად 55-60 ათას ქილას აფორმებს. და შრომის მაღალ ნაყოფიერებას აღწევს.

თავის ნაშრომში ლენინი მიგვითითებს ქალის მდგომარეობაზე და ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომლებიც ქალის ნამდვილი განთავისუფლებისთვის უნდა განხორციელებულიყო.

ახლა ყველა ხედავს, თუ როგორ ასრულდა ლენინის მითითება საბჭოთა ქალების სრული და ნამდვილი თავისუფლების შესახებ.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ჩვენი ბრიგადა, რომელიც მთლიანად ქალებისაგან შედგება. ბრიგადის ხუთი წევრი დაოსტატებულად სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო ორი — საღამოს. საშუალო სკოლაში. დანარჩენი ყველას საშუალო განათლება აქვს მიღებული.

ლენინი მოითხოვდა საზოგადოებრივი სასადილოების, ბავშვების ბაღების ფართო ქსელის შექმნას. ჩვენთან ქარხანაში სასადილოც გვაქვს, საბავშვო ბაღიც და ბაღიც. ხუთი მოწინავე მუშა ქალი საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

დასასრულ მინდა ვთქვა: ჩემს სწავლასა და შრომას უმიზნოდ ჩავთვლიდი, რომ ამით სარგებლობა არ მომქონდეს საერთო საქმისათვის, კოლექტივისა და ჩემი ამხანაგებისათვის. ჩვენი ბრიგადის წევრებს შეკვეთილი წიგნების კითხვა, ორმა მათგანმა — დ. დანელიამ და დ. რევაზოვმა — ჩემი რჩევით განაგრძო სწავლა მუშა ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლაში, პროფესიის დაუფლებაში დაეხმარენ კომკავშირელ გოგონებს ც. გეორგაძეს, დ. ფიტრაქვაძეს, ლ. მაღლაფერიძეს, ბ. ფიჩხაძეს და ბევრ სხვა ახალგაზრდა მეკონსერვეს.

კომუნისტური შრომის ჩვენი ბრიგადა პირველი ჩაეგო ხოფოწყლიდის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეგებებისთვის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხანაში ქალების გამფორმებელთა ჭ. გურგენიძის ბრიგადას ეჯიბრებოდნენ, ხოლო უფრო შორს — ჭ. ოდესის საკონსერვო კომბინატის საფაბრიკატო საამქროს ნ. კოვალიოვას ბრიგადას.

შეჯიბრების უკეთესი ორგანიზაციისათვის კვლავ ლენინს ვეთათბირებით, კერძოდ მის ნაშრომს **„როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება“?**

დიდი ლენინის ნაშრომები გვრაზმავენ იმისათვის, რომ ლენინურად მოვაწყოთ სწავლა, შრომა და ჩვენი ცხოვრება, ლენინურად განვამტკიცოთ დისციპლინა ყველგან და ყველაფერში.

ქეთევან გოგუაძე,

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის საფაბრიკატო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲛᲝᲬᲐᲕᲔᲓᲘᲗᲘᲗ ᲛᲘᲢᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲙᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲮᲠᲘᲚᲔᲓᲘᲗ ᲙᲝᲜᲐᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲐᲓ...

Ვ. ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ.

ᲐᲮᲚᲐᲓᲒᲐᲪᲔᲜᲝᲑᲘᲚᲘ ადამიანი წიგნია, რომელიც უნდა წაიკითხოთ დინჯად და ყურადღებით. ჩემთვის ასეთ წიგნად იქცა ერთი ქართველი ვაჟკაცი, რომლის სსენებაზე ყოველთვის სიამაყეს ვგრძნობ. თუმცა ის ცოცხალთა შორის აღარ არის, მაგრამ ვიცი, გავა დრო, ქვეყანაზე ბევრი რამ შეიცვლება, ჩვენ წავალთ და ახალი თაობები მოვლენ და, რაც უნდა მოხდეს, შალვა ნადიბაიძის სახელი არასოდეს არ გაქრება.

წიგნი იწყება კაცის პირველი ამოსუნთქვით და მეც აქედან ვიწყებ ამბავს შალვაზე. ის დაიბადა ფასანაურის მაღალ მთებში 1907 წელს. ბავშვობიდანვე ეზიარა მთიელი კაცის გაჭირვებას, მწყემსობის სიმწარეს და სიხარულს. მშობლიურ მთებს დაემსგავსა სიმტკიცეში, ხოლო მთის მდინარეებს — შეუპოვრობაში. ოცდაათიან წლებში, როცა პარტიამ სოფლის მეურნეობის მოლიანი კოლექტივიზაციის ისტორიული ამოცანა დასახა, კომკავშირის თემკომის მდივანი შალვა ნადიბაიძე, თავის მეგობრებთან ერთად, დღედაღამ იყო იქ, სადაც წყდებოდა ახალი კოლექტიური მეურნეობების ბედი.

— 1930 წელს, — გვიამბობს ძველი პარტიული მუშაკი ნიკო ხეთაგური, — ჩემი სტუდენტობის მეგობარს შალვა ნადიბაიძეს შევხვდი ფასანაურში. იმ დროს ის მუშაობდა ე. წ. არაგვის ხეობის მეცხვარეთა კავშირის თავმჯდომარედ. ასეთივე ორგანიზაცია იყო ყაზბეგშიც. მეცხვარეთა კავშირები წინ უძღოდნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. მე გავეხუმრე შალვას და ვუთხარი, მაღე კოლექტივიზაცია დამთავრდება და შენც უმუშევარი დამრჩები-მეთქი.

ნადიბაიძემ გადაიხარხარა, მაგრამ რიდი მეშინია, ქვეყანა ვრცელია და ჩემს ადგილს ყველგან მოვნახავო...

შემდეგ დიდხანს ვისაუბრეთ ახალ კოლმეურნეობებზე და მათი მტრებიც ათასნაირ ხრიკებზე. შალვაც მოჰკვა თავის თავგადასავალს, როცა ხოფელ ხადაში ახლადჩამოყალიბებული კოლმეურნეობის კრებიდან ბრუნდებოდა, როგორ დაუგორეს უზარმაზარი ქვები კულაკებმა.

შალვა ნადიბაიძე გულკეთილი, **ზნიარული, მოუსვენარი, გაბედული ვაჟკაცი იყო და ჯერ ისე სახელოვნად** ხადებაში. ასეც მოხდა. მთელი სამი თვის განმავლობაში ერთად ვემზადებოდით, კარგადაც შეითვისა ყველაფერი და იმავე წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე. ის იყო არაჩვეულებრივი უნარისა და ნებისყოფის კაცი, სწავლაში ღამეებს ათენებდა და წარჩინებითაც დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, იყო მოსიყვარულე ადამიანი, ნათესავებსა და მეგობრებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. თავისებური მთიულური სიამაყეც ახასიათებდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ადამ ქავთარაძე იგონებს, რომ შალვა ნადიბაიძე იყო მეტად გულისხმიერი და მეგობრის მოყვარული კაცი. ამ მოუსვენარ ადამიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის მთის სოფლების კოლექტივიზაციის საქმეში, მან ვაჟკაცურად **ასახელა თავისი ხალხი და თავისი**



კაცი—ხომალდი

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲓᲐᲛᲐᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ

პირველ ხანებში რიგითი ინჟინერ-ეკონომისტი იყო კუნძულ პოპოვის თევზკომბინატში, ქართველმა მთიელმა ვაჟკაცმა მალე შეიჭრა ზღვის მარილიანი ჰაერი, შეეთვისა შორეული აღმოსავლეთის ბუნებას და, რაც მთავარია, მამაც ადამიანებს, რომლებსაც პირველი ამოსუნთქვიდანვე ზღვაში ეპოვნათ ვაჟკაცობის სარბიელი.

მოკლე ხანში შალვამ თავი გამოიჩინა როგორც საზრიანმა ორგანიზატორმა და ბრწყინვალე სპეციალისტმა. მალე მას ნიშნავენ ვალენტინის თევზკომბინატის დირექტორად, ხოლო 1939 წელს აწინაურებენ ერთ-ერთი უმსხვილესი თევზკომბინატის — ტაფუინის თევზკომბინატის ხელმძღვანელად.

დადგა 1941 წელი. ჩვენს სამშობლოს თავს დაატყდა დიდი უბედურება. ფაშიზმთან ომის ცეცხლოვან დღეებში ძვირფასი იყო ერთი ნაღმი და ერთი შაშხანის ტყვიაც კი, ძვირფასი იყო ერთი კილოგრამი პური და ერთი ქაშაყიც. ომის პირველი დღეებიდან ტაფუინელები თავიანთ საყვარელი უფროსის მეთაურობით შრომობდნენ განსაკუთრებული მონდომებითა და ენერგიით, არ იშურებდნენ ძალასა და ენერგიას, რათა სახელმწიფოსათვის მიეცათ ათასობით ტონა თევზი და მილიონობით თევზის კონსერვი.

დღედაღამ ფიქრობდა შალვა ნადიბაიძე, მას შესცქეროდა მთელი კომბინატი, მასზე, როგორც შეტევაზე გადასული ჯარის ნაწილის მეთაურის მამაცობაზე იყო დამოკიდებული თვითეულისა და ყველას წარმატება. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო! შალვას მაშინ ებარა ათობით გემი და უამრავი თანამშრომელი, საჭირო იყო არა მარტო დიდი ორგანიზატორული უნარი, არამედ ადამიანთა აღზრდის დიდი ნიჭიც. საოცარი ძალა ჰქონდა მის სიტყვას, და მის პირად მაგალითს. შორეულ აღმოსავლეთში მას თან გაჰყვა ქართველი ვაკის ყველა კეთილი თვისება — სიმართლე, შრომისმოყვარეობა, მეგობრისათვის თავდადება, საქმის დიდი სიყვარული და ერთგულება.

მეთევზეთა გემები ზღვაში გადიოდნენ ყოველგვარ ამინდში — ნისლში თუ ქარიშხალში... ყოველ წუთს ადამიანებს დაღუპვა ელოდათ. სამუშაო დღე იწყებოდა დილის ხუთ საათზე, მთავრდებოდა გვიან ღამით. შრომითი მამაცობის საოცრებას უჩვენებდნენ სეინერთა რაზმები, რომლებზეც კაპიტნებად იყვნენ ა. გ. ტაბოლინი და ვ. ე. გოლუბევი. ტყუილად არ ეძახოდნენ მათ „შრომითი ფრონტის გვარდიელებს“.

ფრონტზე წასული მამაკაცების სანაცვლოდ კომბინატში მოვიდა შვიდასზე მეტი დიასახლისი. პირველსავე წელს ორასზე მეტმა ქალმა აითვისა მამაკაცის პროფესია, მათ შორის თოთხმეტი ქალი შრომობდა შკიპერად, სამი — ცეცხლფარეშად, ორმოცი — თევზმჭერად.

არქივში ინახება ტაფუინელი ქალების მიმართვა შორეული აღმოსავლეთის მეთევზეთა ყველა ოჯახისადმი — შეეცვალათ ფრონტზე წასული მამაკაცები. მიმართვა დაწერილია 1941 წლის დეკემბერში.

— ახლა შინ ჯდომა, — წერდნენ ქალები, — დანაშაულია. იყო წარმოების მოწინავე ნიმნავს იყო მებრძოლი, მუშაობდე საამქროში, ეს ნიშნავს იყო ფრონტზე. უქმად ყოფნა სამარცხვინოა. სამშობლო დაზღვევაკენ მოგვიხმობს...

ამ ვაჟკაცურმა სიტყვებმა ზღვისპირა ბავად ტაფუინზე დარჩა, გადაეცა კომბინატს. საზეიმო მიტინგზე მოვიდა ყველა, დიდი და პატარა.

აი როგორ არის აღწერილი ეს საზეიმო წუთები ვლადივოსტოკის გაზეთებში:

„ქუხს სალუტი, დროშას გადასცემენ კომბინატის დირექტორს ამხანაგ შალვა გიორგის-ძე ნადიბაიძეს. ის იჩოქებს და კოცნის ალისფერ ხავერდს, მასთან ერთად არის ცხრა საუკეთესო მებადური, რომლებსაც დავალებული აქვთ ჩაბარონ დროშა...“

მთელი ომის განმავლობაში ტაფუინელები მოწინავენი იყვნენ, ყოველწლიურად უფრო მეტსა და მეტ პროდუქციას აძლევდნენ ქვეყანას, ფრონტს.

1943 წლის აგვისტოში კომბინატის მოწინავე ადამიანები დაჯილდოეს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. მათ შორის შალვა ნადიბაიძეს ლენინის ორდენი გადაეცა. შრომის წითელი დროშის ორდენები მიიღეს მამაცმა კაპიტნებმა ტაბოლინმა და გოლუბევმა.

ომის შემდეგ

საერთაშორისო ცხოვრება

საკლესიო ცნობა

ამ უკანასკნელ დღეებში დასავლეთის პრესის ზოგიერთ ორგანოში, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ლაღალიულ გაზეთებში დაიბეჭდა სტატიები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვაგვარ მონაცემს. ჩეხოსლოვაკიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის იან მასარიკის სიკვდილის მიზეზების შესახებ, რომელმაც როგორც ცნობილია, 1948 წელს თავი მოიკლა, ახლა მტრული პროპაგანდა ცდილობს საქმე ისე დახატოს, თითქოს მასარიკს სიკვდილში გარეული იყვნენ რომელიღაც „მრჩეველნი საბჭოთა კავშირის უშიშროების ორგანოებისა“.

საკდეს დავალებული აქვს გადაჭრით განაცხადოს, რომ აღნიშნული ცნობები თავიდან ბოლომდე ყალბია. ვინც ამ ცნობებს ავრცელებს, ისახავს სრულიად გარკვეულ მიზანს — შეიცადოს თუნდაც ასეთი პროვოკაციული გზით უნდობლობა ჩამოაგდოს ორ მეგობარ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის. სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მტრები, აგრეთვე ამ ცილისმწამებლურ ცნობებს, აშკარად იმედოვნებენ ანტისაბჭოთა განწყობილება გამოიწვიონ პოლიტიკურად მეტყველ ადამიანებში.

საბჭოთა კავშირში გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტები, ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია ჩეხოსლოვაკიის ხალხის სოციალისტური მონაპოვარნი, შეძლებენ სწორად შეაფასონ ბინძური ხერხები იმპერიალისტური პროპაგანდისა, რომელიც ამ ბოლო დროს სხვადასხვაგვარი ნაყალბევის საშუალებით ცდილობს ძირი გამოუთხაროს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობასა და ძმობას.

მშვიდობის ინტერესებისათვის

გდრ-ის მთავრობის მიმართვა გაავრცელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 7 მაისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაავრცელა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 22-ე სესიისადმი, რომლის განსახილველად შეტანილია ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების პროექტი.

მიმართვაში ნათქვამია, რომ **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იწონებს ხელშეკრულების პროექტს, რომელიც „აკრძალავს ატომური იარაღის გავრცელებას ყოველგვარი ფორმით“ და „შექმნის ხელშემწყობ პირობებს, რომ შემდგომი ნაბიჯი გადაიდგას საყოველთაო და სრული განიარაღების გზაზე“.**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იწონებს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელშეკრულების პროექტს და განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ეს ხელშეკრულება დაბრკოლებას შეუქმნის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც სურს ხელი იგდოს ატომური იარაღი.

„ატომური იარაღი ამ მთავრობის ხელში, რომელიც ცდილობს სტატუს-კვოს შეცვლას ევროპაში, მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს ქმნის“, — ნათქვამია მიმართვაში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ახლა ემზადება საკუთარი ატომური იარაღის წარმოებისათვის, იგი მოითხოვს აგრეთვე „ევროპის ატომური დამკვრელი ძალების“ შექმნას, რომლებშიც ბონი წამყვან როლს შეასრულებს, დღეს ატომურ შეთანხმებებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან და ისრაელთან. ამიტომ არის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დადების ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგეა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას თავის მხრივ მიაჩნია, რომ გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დადება შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქის ინტერესებს და დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ინტერესებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს დადონ ასეთი ხელშეკრულება უახლოეს ხანში და მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ამ მიზნის მიღწევაში, ხაზგასმულია მიმართვაში.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ო. ვინცერის წერილი, რომლის ტექსტიც აგრეთვე გაავრცელა აქ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ, შეიცავს თხოვნას, რომ შუამდგომლობა იკისროს, რათა ამერიკის ვიზა მიეცეთ ცნობილ იურისტს ვიუზშესა და მის თანმხლებ ექსპერტს, რომლებსაც ევალებათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი გააცნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 22-ე სესიის მუშაობის მონაწილე დელეგაციებს.

ლარიგთა ლაშქრობა

ჯაქსონი. (მისისიპის შტატი), 7 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ი. რომანცოვი გვატყობინებს:

„ლარიბთა ლაშქრობის“ ახალი მონაწილენი— ამერიკის სამხრეთის დაბეჩავებული ზანგები ქალაქ ედუარდსიდან (მისისიპის შტატი) გაემართნენ გაშინგტონისაკენ.

გუშინ საღამოს პირველი ჯგუფი, რომლის მონაწილეთა სამკლაურებზე ეწერა „მისისიპი წეული შტატია“, ჩავიდა სელმაში (ალაბამის შტატი). მათ ქალაქის ქუჩებში ჩაიარეს სიმღერებით თავიანთ მძიმე ხვედრზე. ჯგუფის მონაწილეებს მეიდრო რკალად ერტყნენ პოლიციელები. დღეს „სამხრეთის ჯარავანი“ გაემართება მონტგომერისაკენ (ალაბამის შტატი). იგი ვაშინგტონში ჩავა 19 მაისს.

„ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ხელისუფლებმა მოსპონ სიღატაკე, უუფლებობა და უმუშევრობა. ამისათვის მივდივართ ვაშინგტონში“, აცხადებენ ლაშქრების მონაწილენი.

პოლიტიკური კრიზისი ბელგიაში

ბრიუსელი, 7 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჯოლკოვი იუწყება: ბელგიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ლ. კოლარმა, რომელსაც დაეკალა მთავრობის შექმნა, გუშინ მეფე ბოდუენს სთხოვა გაეთავისუფლებინა ამ მისიისაგან. მეფემ დაკმაყოფილა მისი თხოვნა.

ქ. კოლარმა ეს გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც მოლაპარაკება მთავრობის შექმნის შესახებ სოციალ-ქრისტიანულ პარტიასთან ჩიხში მოექცა. მთავრობის პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე უთანხმოების გამო. სოციალურ-ქრისტიანული პარტია მოითხოვდა მომზადებულიყო პროგრამა პრობლემების მთელ კომპლექტზე, მათ შორის ფლამანდიელთა და ვალონთა ურთიერთობის საკითხზე. გარდა ამისა, სოციალურ-ქრისტიანული პარტია კვლავინდებურად მხარს უჭერდა სამპარტიული მთავრობის შექმნის იდეას, რომელშიც უნდა შესულიყო თავისუფლებისა და პროგრესის პარტია. სოციალისტური პარტია ილაშქრებს ამ იდეის წინააღმდეგ, ხოლო მთავრობის პროგრამის ნაწილში წინადადებას იძლევა გამოიყოს ლინგვისტური პრობლემები ეკონომიურ-სოციალური პრობლემებისაგან.

მას შემდეგ, რაც სოციალურ-ქრისტიანული პარტიის თავმჯდომარემ რ. უბენმა 4 მაისს განაცხადა, რომ სოციალურ-ქრისტიანული პარტია ვერ მიიღებს ლ. კოლარის მიერ შეთავაზებული მომავალი მთავრობის პროგრამას, თუ ეს პროგრამა ძირფესვიანად არ შეიცვლება, ნათელი გახდა, რომ მოლაპარაკება ჩიხში მოექცა.

პოლიტიკური კრიზისი ბელგიაში გრძელდება.

განაგრძობენ ძალის პოლიტიკას

ნიუ-იორკი, 6 მაისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაავრცელა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის 2 მაისის წერილი იმის თაობაზე, რომ გრძელდება ისრაელის პროვოკაციები ახლო აღმოსავლეთში.

წერილში აღნიშნულია, რომ 2 მაისს იერუსალიმის არაბულ ნაწილში გამართული ისრაელის საზენიტო ბატარეა ალეგ-ალეგ-ალეგ-

კამბოჯელი სტუმრები თბილისში

7 მაისს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ქხმერ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კამბოჯის ინფორმაციის სახელმწიფო მდივანი ჩინ რენი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება საზოგადოება „სსრ კავშირ-კამბოჯის“ მოწვევით.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. უღენტი, აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ნ. კოტლაშვილი, ამ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი შ. კურდღელაშვილი.

ნამოსვლის დღეს ქალბატონი ჩინ რენი ეცნობოდა თბილისს. კამბოჯელი სტუმარი იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, სადაც გაიმართა საუბარი კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს პ. შამათავასა და ქალბატონ ჩინ რენს შორის.

• • •

ქხმერ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის დელეგაციის მეთაური, კამბოჯის ინფორმაციის სახელმწიფო მდივანი ჩინ რენი 7 მაისს ეწვია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გიგოშვილს. მიესალმა რა ქალბატონ ჩინ რენს, ა. ა. გიგოშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და კამბოჯის მეგობრული ურთიერთობა განვითარდება და განმტკიცდება ორივე ქვეყნის ხალხების საკეთილდღეოდ.

საუბარს დაესწრნენ საზოგადოება „სსრ კავშირ-კამბოჯის“ ვიცეპრეზიდენტი პროფესორი გ. ლ. ბონდარევსკი, რომელიც თან ახლავს დელეგაციას მოგზაურობის დროს, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ჟღენტი, აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ნ. გ. კოტლაშვილი. (საქდესი).

„პრომეთე-68“

ასე მწვრდება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და უკრაინის კინოფილმების ფესტივალს, რომელიც 6 მაისს გაიხსნა ერევანში. ასეთი ფესტივალი პირველად შარშან გაიმართა საქართველოს დედაქალაქში.

ერევნის ფესტივალის მთავარი პრიზი არის პრომეთეს ბრინჯაოს ქანდაკება. მისთვის იბრძვიან მხატვრული ფილმები — კიევის ა. პ. დოვჟენკოს სახელობის სტუდიის ნაწარმოები „ბომბა“, ოდესის სტუდიის „წყნარი ოდესა“, აზერბაიჯანის სტუდიის „მიწა, ზღვა, ცეცხლი, ცა“ და „ადამიანი ღუზის უშვებს“, ქართული ფილმები „დიდი მწვანე ველი“ და „მალე მოვა გაზაფხული“ და კინოსტუდია „სომხური ფილმის“ ორი ნამუშევარი — „კარინე“ და „სამკუთხედი“.

დაწესებულია პრემიები საუკეთესო მხატვრული სატელევიზიო ფილმებისათვის, დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმებისათვის, აგრეთვე საუკეთესო რეჟისორისათვის, საუკეთესო ოპერატიული მუშაობისათვის, ქალისა და კაცის საუკეთესო როლებისათვის.

ფესტივალის დროს, რომელიც ერთ კვირას გასტანს, მოეწყობა მოძმე რესპუბლიკების კინოს მოღვაწეთა შემოქმედებითი შეხვედრები, აგრეთვე შეხვედრები მაყურებლებთან. (საკდესის კორ.).

მოსკოვში — გამოფენაზე



გიმდინარე წლის თებერვალში, მოსკოვის „მანეჟის“ ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში ეწყობა პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების მოსწავლეთა შემოქმედების საკავშირო საანგარიშო გამოფენა. საბჭოთა კავშირის 14 სამხატვრო პროფტექნიკურ სასწავლებელთა შორის გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევრებიც. გაცნობთ საგამოფენოდ შერჩეულ რამდენიმე ნამუშევარს.

ეს არის III კურსის სტუდენტის ნ. ნოზაძის ჰედუარობა „ბედნიერება“ (ზემოთ მარცხნივ); III კურსის სტუდენტის მ. ტურაბეს ჰედუარობა „მეგრული ფაცხა“ და კურსდამთავრებულ შ. ფილფანის ხის ნაკეთობა „ჩემი ეზო“ (ქვემოთ).



სპორტსმენის წვრთნას — მეცნიერული საფუძველი

მეცნიერ მედიკთა საკავშირო კონფერენცია თბილისში

6 მაისს თბილისში მუშაობა დაიწყო მე-10 საკავშირო სამეცნიერო კონფერენციამ სპორტში კუნთის მოქმედების ფიზიოლოგიის, მორფოლოგიის, ბიომექანიკისა და ბიოქიმიის პრობლემებზე. კონფერენცია მოიწვიეს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა სამეცნიერო საბჭოს. „ფიზიოლოგიის“ სპორტის ფიზიოლოგიის სექციამ და ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოებამ. კონფერენციაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქის 300-ზე მეტი მეცნიერი მედიკი და ფიზიოლოგი.

კონფერენციის მუშაობა მოეწყობა ორ სიმპოზიუმზე „მოძრაობის მართვა“ და „ენერგეტიკის ნაკლებობის პირობებში მოძრაობასთან ადაპტაცია“, აგრეთვე ბიომექანიკის, სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის, ცენტრალური ნერვული სისტემისა და ფუნქციათა რეგულაციის, ფიზიკური დატვირთვის დროს ნივთიერებათა ცვლის, საშუალმთიანეთის პირობებში აკლიმატიზაციის და სხვა სექციებში.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირთან არსებული ფიზიოლოგთა, მორფოლოგთა, ბიომექანიკოსთა და ბიოქიმიკოსთა სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ პროფესორმა ნ. ზიმკინმა.

კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით კონფერენციამ მოისმინა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგის დოცენტ ვ. აგლაძის მოხსენება „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის კ. მარქსის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

პროფესორმა ნ. ზიმკინმა თავისი მოხსენება მიუძღვნა ექსტრაპოლაციას და მის მნიშვნელობას სპორტულ ჩვევებში. ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ პროფესორმა ვ. ფარფელმა წაიკითხა მოხსენება „ინფორმაციის სხვადასხვა არხის მნიშვნელობა ადამიანის მოძრაობის მართვაში“. გრავიტაციული ველის შეცვლილი ზემოქმედების დროს ადამიანის ნებისმიერი მოძრაობის კოორდინაციული სტრუქტურის თავისებურებებზე ილაპარაკა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორმა ლ. ჩხაიძემ. ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ბიომექანიკის კათედრის გამგემ პროფესორმა დ. დონსკოიმ გააკეთა მოხსენება თემაზე „ბიომექანიკურ სტრუქტურათა განვითარება სპორტულ წვრთნაში“.

ფიზიკური კულტურის ბუნებრივ-მეცნიერული დასაბუთების საკითხები დიდი ხანია იპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ დოცენტმა შ. ჩახნაშვილმა. — მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ წლებში გადაიდგა არსებითი ნაბიჯი მათი დამუშავების გზაზე. ახლა, როცა პარტიამ და მთავრობამ დასახეს ფიზიკური კულტურის შემდგომი სრულყოფის ამოცანა, მეცნიერმა მედიკებმა და ფიზიოლოგებმა უნდა გაიფართოონ სამეშაოთა ფრონტი ფიზკულტურისა და სპორტის მეცნიერული დასაბუთების დარგში.

სპორტული შედეგების ახლანდელი დონე იმდენად მაღალია, რომ მხოლოდ მაშინ მივაღწევთ კარგ მაჩვენებლებს სპორტულ შეჯიბრებაში, თუ სპორტსმენი მეცნიერულად მომზადებული იქნება მორფოლოგიის, ფიზიოლოგიის, ბიომექანიკის, ბიოქიმიის პოზიციებიდან. ამიტომ ახლანდელი კონფერენციის ერთ-ერთი ამოცანაა შეიმუშაოს წვრთნის მეცნიერული საფუძვლის შემდგომი გაუმჯობესების მეთოდები.

(საქდესი).

ს. გ. მიქაძე

ბიოლოგიურ- და საერთოგელ- ... ...